ს.ს. გლობალ ერთის

კონფიდენციალურობის/პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

ქ. თბილისი 01.03.2024 წელი

1.ტერმინები:

- **ჩვენ/ მონაცემთა დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირი** - **ს.ს. გლობალ ერთი,** რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზებს და საშუალებებს, უშუალოდ ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას;
- **თქვენ/ მონაცემთა დამუშავების სუბიექტი** - ნებისმიერი ფიზიკურ პირი, რომელიც სარგებლობთ ან სურვილი აქვს ისარგებლოთ ჩვენი მომსახურებით და რომლის შესახებაც მონაცემი მუშავდება;
- **დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი** - ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც მონაცემებს ამუშავებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის ან მისი სახელით ანუ ჩვენთვის ან ჩვენი სახელით;
- **მონაცემთა დამუშავება** - მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერ მოქმედებს, როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით ან მის გარეშე ან ერთობლივი გამოყენებით, მათ შორის, მონაცემების შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, ფოტოგადაღება, ვიდეომონიტორინგი ან/და აუდიომონიტორინგი, ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გაზიარება, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით ან გავრცელებით;
- **პერსონალური მონაცემი** - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით.

2. კონფიდენციალურობის/პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის მოქმედების ფარგლები

2.1 წინამდებარე კონფიდენციალურობის/პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა გავრცელდება ნებისმიერ ფიზიკურ პირზე, რომელთა მონაცემები მუშავდება ჩვენს მიერ მომსახურების გაწევის ფარგლებში, მათ შორის

- გლობალ ერთის ფიზიკურ პირ აბონენტებზე, ინდივიდუალურ მეწარმე აბონენტებზე, რომლებიც სარგებლობენ ჩვენი მომსახურებით (ფიქსირებული სატელეფონო ქსელის აბონენტები და ინტერნეტ ქსელის აბონენტები)

- ფიზიკურ პირებზე, რომლებიც არ არიან ჩვენი აბონენტები, თუმცა სურთ ჩვენი მომსახურების მიღება(პოტენციური აბონენტები);

- ინდივიდუალური მეწარმე ან იურიდიული პირი აბონენტის (კორპორატიული აბონენტების) საკონტაქტო პირებზე;

- ყოფილ აბონენტებზე;

- ჩვენი ოფისის და ვებ-გვერდის ვიზიტორებზე;

2.2. წინამდებარე პოლიტიკა არ ვრცელდება სხვა პირების მიერ თქვენთვის მოწოდებულ მომსახურებებზე ან/და ვებ-გვერდებზე, რომელზეც წვდომა გაქვთ გლობალ ერთის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის საშუალებით;

3. პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები

- მონაცემები უნდა დამუშავდეს კანონიერად, სამართლიანად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეულახავად;

- მონაცემები უნდა შეგროვდეს/მოპოვებული უნდა იქნეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისთვის, დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, მონაცემთა დამუშავების თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით;

- მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. მონაცემები იმ მიზნის თანაზომიერი უნდა იყოს, რომლის მისაღწევადაც ისინი მუშავდება;

- მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი და, საჭიროების შემთხვევაში, განახლებული. მონაცემთა დამუშავების მიზნების გათვალისწინებით, არაზუსტი მონაცემები უნდა გასწორდეს, წაიშალოს ან განადგურდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე;

- მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა წაიშალოს, განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს დეპერსონალიზებული ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მონაცემთა დამუშავება/შენახვა განსაზღვრულია კანონმდებლობით და წარმოადგენს პროპორციულ ზომას დემოკრატიულ საზოგადოებაში აღმატებული ინტერესების დასაცავად;

-მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავებისას მიღებული უნდა იქნეს ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან /და დაზიანებისგან;

ჩვენ, ს.ს. გლობალ ერთი ვაცხადებთ რომ პერსონალური მონაცემების დამუშავებას ვუზრუნველყოფთ წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული მიზნების, საფუძვლებისა და პრინციპების შესაბამისად.

4. პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძვლები

4.1. ს.ს. გლობალ ერთის მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული საფუძვლით:

- ჩვენ შორის დადებული გარიგებით (ხელშეკრულებით) ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად და/ან თქვენი მოთხოვნით გარიგების დასადებად;

- თქვენი განცხადების განსახილველად;

- თქვენი თანხმობით;

-ჩვენი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად;

- მონაცემთა დამუშავება საჭიროა საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

4.2.აღნიშნული საფუძვლებით, თქვენი მონაცემები შესაძლოა დავამუშაოთ შემდეგი ერთი ან რამდენიმე კანონიერი მიზნით:

- ხელშეკრულების საფუძველზე თქვენს მიერ შეძენილი მომსახურების თქვენთვის მოწოდების მიზნით, მათ შორის, თქვენთვის განკუთვნილი და თქვენ მიერ წამოწყებული ხმოვანი და ინტერნეტ ტრაფიკის გლობალ ერთსა და სხვა ურთიერთჩართულ ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებში გადაცემა/გადამისამართების უზრუნველსაყოფად;

-თქვენი იდენტიფიცირების და თქვენთან ხელშეკრულების გაფორმების მიზნით;

-თქვენთან ანგარიშსწორების განხორციელების, თქვენთვის გაწეული მომსახურების ანგარიშისა და დეტალური ამონაწერის მოწოდების მიზნით;

-ხელშეკრულების საფუძველზე თქვენს მიერ შეძენილი მომსახურების თაობაზე თქვენთვის ინფორმაციის მოწოდების მიზნით, მათ შორის თქვენი დავალიანების, გადახდის ვადის, მომსახურების მოსალოდნელი შეზღუდვის/შეწყვეტის ან/და დაგეგმილი ან/და გადაუდებელი პროფილაქტიკური

სამუშაოების ან მომსახურების პირობების/ ტარიფების ცვლილების შესახებ ინფორმაციის მოწოდების მიზნით;

-თქვენი მოთხოვნის, საჩივრის, განცხადების განხილვის მიზნით;

-თქვენთვის ტექნიკური დახმარების გაწევის, დაზიანების ან ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენისა და აღმოფხვრის მიზნით;

-მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით;

-დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის მიზნით;

-პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის, მხოლოდ ჩვენი მომსახურებების თქვენთვის ინფორმაციის/შეტყობინების მოწოდების მიზნით;

- პერსონალური მონაცემების გაცემასთან, შესწორებასთან, დამუშავებასთან, მათ შორის, პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავების შეწყვეტასთან დაკავშირებით, თქვენი მოთხოვნების აღრიცხვისა და შესრულების უზრუნველყოფის მიზნით;

5.პერსონალური მონაცემების მოპოვების გზა, მონაცემთა სახეები, რომელსაც ვამუშავებთ

5.1.პერსონალური მონაცემების მოპოვება ხორციელდება თქვენ მიერ მოწოდებული რამდენიმე გზით, როდესაც თქვენ:

-სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით მოგვმართავთ ჩვენ, ჩვენი მომსახურების შეძენის და/ან ინფორმაციის მოწოდების მოთხოვნით, ;

-ოფისში და ჩვენს ვებ-გვერდზე ვიზიტისას;

-აფორმებთ ჩვენთან მომსახურების ხელშეკრულებას;

-იყენებთ ცხელ ხაზს და ან გვიგზავნით წერილს ფოსტით ან ელ. ფოსტით;

-მოგვმართავთ საჩივრით/პრეტენზიით, მათ შორის, დაზიანების აღმოფხვრის, მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის ან/და ნებისმიერი სხვა ხარვეზის არმოფხვრის მოთხოვნით;

-მოგვმართავთ პერსონალური მონაცემების გაცემის, გასწორების, წაშლის ან დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნით.

5.2. მოცემთა სახეები (კატეგორიები) რომლის დამუშავებაც ხდება.

პერსონალური მონაცემების კატეგორიები და დამუშავების მოცულობა დამოკიდებულია თქვენს მიერ შეძენილ/მიღებულ მომსახურებებზე, ჩვენთან განხორციელებული კომუნიკაციის ფორმაზე, წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული საფუძვლებით და მიზნებისთვის შესაძლოა დამუშავდეს შემდეგი მონაცემები:

-თქვენი საიდენტიფიკაციო მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, ტელეფონის ნომერი/საკონტაქტო ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ასაკი, დაბადების თარიღი და სქესი; პირადობის მოწმობის ინფორმაცია, მასზე დატანილი სურათითურთ;

-მონაცემები თქვენ მიერ მიღებული მომსახურების შესახებ, მათ შორის, მონაცემები მომსახურების დამატების, გაუქმების ან ცვლილების თაობაზე;

-ტრაფიკის მონაცემები და საბილინგო მონაცემები, მათ შორის, სატელეფონო და ინტერნეტ ტრაფიკის მონაცემები, გლობალ ერთის და სხვა ურთიერთჩართულ ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებში გადაცემა/გადამისამართებისათვის საჭირო მონაცემები; მონაცემები თქვენი ტერმინალური მოწყობილობის განთავსების ადგილის, ინტერნეტ(IP) მისამართის ან/და ადგილმდებარეობის/გეოლოკაციის თაობაზე;

-ელექტრონული კომუნიკაციის გადაცემის ფარგლებში დაგენერირებული მონაცემები -ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მაიდენტიფიცირებელი მონაცემები - მიღებული მომსახურების თაობაზე მონაცემები-განხორციელებული/მიღებული მომსახურების მოცულობა/ხანგრძლივობა, თარიღი და დრო.

-მომსახურებისათვის დარიცხული საფასური, მომსახურების შეძენის ან ანგარიშის გადახდის თარიღი, დრო და ფორმა ასევე, თქვენი დავალიანების, გადაუხდელი თანხის და დეპოზიტის შესახებ მონაცემები;

-მომსახურებასთან დაკავშირებით, თქვენ მიერ განხორციელებული კომუნიკაციის მონაცემები, მათ შორის, ფოსტით , ელ-ფოსტით/ შემოსული წერილობითი ინფორმაცია, ქოლ-ცენტრში შემოსული ზარების აუდიო ჩანაწერი;

-თქვენთვის მოწოდებული მომსახურების ხარისხის თაობაზე მონაცემები და დაზიანებების დეტალური ინფორმაცია;

-ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევასთან დაკავშირებული მონაცემები;

-თქვენი პერსონალური მონაცემების გასწორების, წაშლის, გაცემის, დამუშავებაზე თანხმობის ან დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის თაობაზე ინფორმაცია;

-ნებისმიერი ის სხვა მონაცემი, რომლის დამუშავებაზეც თქვენ თანხმობა განაცხადეთ და/ან რომლის დამუშავების ვალდებულებაც გვეკისრება კანონმდებლობით.

6. პერსონალური მონაცემების გაზიარება

6.1.თქვენი მონაცემების გაზიარება შესაძლებელია განხორციელდეს

-დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებზე, რომლებიც სხვადასხვა სახის მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით ამუშავებენ პერსონალურ მონაცემებს ჩვენი დავალებით ჩვენთვის, ჩვენი სახელით. თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ მონაცემების დამუშავება განხორციელდეს სახელშეკრულებო ვალდებულების ფარგლებში, მათ შორის წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული პირობების შესაბამისად და კანონმდებლობით გათვალისწინებული გზით.

-კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, შესაბამის უფლებამოსილ სამართალდამცავ ორგანოებზე და/ან სახელმწიფო უწყებებზე;

-სხვა პირებზე მხოლოდ თქვენი თანხმობის შემთხვევაში.

ვაცხადებთ, რომ ყველა ზემოთმოყვანილ შემთხვევაში პერსონალური მონაცემების გაზიარება მოხდება მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია შესაბამისი მიზნის მისაღწევად და/ან რაც გათვალისწინებულია/დადგენილია კანონმდებლობით.

7. აუდიომონიტორინგი

7.1 ჩვენ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, ვახორციელებთ სატელეფონო ზარების აუდიომონიტორინგს, კონკრეტულად - ქოლცენტრში კომუნიკაციისას მიმდინარეობს აუდიოჩაწერა, რომელიც ხორციელდება მომსახურების ხარისხის კონტროლის და მომოსახურების გაუმჯობესების მიზნით; აუდიოჩაწერამდე ხდება თქვენი გაფრთხილება აღნიშნულის თაობაზე

7.2. შენახვის ვადა განისაზღვრება კომუნიკაციიდან 2 (ორი) წლით და არ ხდება მისი გაზიარება, გარდა კანონდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

7.3.თქვენ უფლება გაქვთ უარი განაცხადოთ აუდიომონიტორინგზე ქმედებით- გამაფრთხილებელი ტექსტის დროს კომუნიკაციის შეწყვეტით;

8. ვიდეომონიტორინგი

8.1. ჩვენ მომხმარებელთა, დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნით ვახორციელებთ ოფისის ვიდეომონიტორინგს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ შესახებ კანონით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით;

8.2. ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით განხორციელებული ჩანაწერები ინახება 30 (ოცდაათი) დღის ვადით.

8.3. ვიდეომონიტორინგის ჩანაწერები შესაძლებელია გაზიარებულ იქნეს სამართალდამცავი ორგანოებისთვის მათ მიერ საქართველოს კანონმდებლობის დაცვით წარდგენილი მოთხოვნის შემთხვევაში;

8.4. თუ თქვენ გსურთ მოიპოვოთ ვიდეომონიტორინგის ჩანაწერებზე წვდომა, უნდა მიუთითოთ თარიღი და დროის პერიოდი, როდესაც კამერებმა დააფიქსირეს მონაცემები და შეტყობინება გაუგზავნოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს ელექტრონულ ფოსტაზე .

9. პირდაპირი მარკეტინგი

9.1.პირდაპირი მარკეტინგის მიზნით ს.ს. გლობალ ერთი თქვენი მონაცემების დამუშავებას ახდენს თქვენი თანხმობისა და მისი ლეგიტიმური ინტერესების უზრუნველყოფად

9.2.გლობალ ერთის მიერ პირდაპირ მარკეტინგს აქვს ადგილი, როდესაც თქვენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სატელეფონო ნომრებზე და/ან თქვენს მიერ მიწოდებულ საკონტაქტო ნომერზე (მოკლე ტექსტური შეტყობინებით, სატელეფონო ზარის შეტყობინებით) ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით მიიღებთ ინფორმაციას ჩვენი მომსახურებების, ფასდაკლებების შესახებ.

9.3. ჩვენი სერვისების პირდაპირ მარკეტინგზე თქვენი უარის შემთხვევაში თქვენ ვერ მიიღებთ შემოთავაზებებს, სიახლეების ჩვენზე და შესაბამისად ვერ ისარგებლებთ თქვენზე მორგებული მომსახურებებით ან ფასდაკლებებით.

9.4. თქვენ უფლება გაქვთ ნებისმიერ დროს, ყოველგვარი დამატებითი ხარჯის გარეშე, მოგვთხოვოთ პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის მონაცემების დამუშავებისა და მარკეტინგული შეტყობინებების გამოგზავნის შეწყვეტა, ელ ფოსტაზე: privacy@global-erty.net გამოგზავნილი შეტყობინების საფუძველზე;

9.5. ს.ს. გლობალ ერთი ვალდებულია შეწყვიტოს პირდაპირი მარკეტინგის მიზნით თქვენი მონაცემების დამუშავება თქვენი შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს **7** (შვიდი) სამუშაო დღისა.

10. პერსონალურ მონაცემთა შენახვის ვადები

10.1. ს.ს. გლობალ ერთი პერსონალურ მონაცემების შენახვას უზრუნველყოფს იმ ვადით, რომელიც აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად ან განსაზღვრულია კანონმდებლობით.

10.2.“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულია (მუხლი 8^5) ელექტრონული კომუნკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შენახვის ვადები:

-მომხმარებლის ვინაობა, საკონტაქტო ინფორმაცია, დამონტაჟებული საკომუნიკაციო აღჭურვილობის ადგილმდებარეობის თაობაზე არსებული ინფორმაცია, მომსახურების მიზნით მინიჭებული

სატელეფონო ნომერი და მომხმარებელთან დადებულ ხელშეკრულებაში მითითებული სხვა მონაცემები ინახება ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ან მისი შეწყვეტიდან 4 წელი;

- მომხმარებლის კომუნიკაციის აღჭურვილობის ან შესაძლო აღჭურვილობის იდენტიფიცირებისთვის საჭირო მონაცემები, კომუნიკაციის წყაროს კვალის დადგენისა და იდენტიფიცირებისთვის საჭირო მონაცემები, კომუნიკაციის თარიღის, დროისა და ხანგრძლივობის იდენტიფიცირებისთვის საჭირო მონაცემები, კომუნიკაციის სახის იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემი ინახება კომუნიკაციის განხორციელებიდან 4 (ოთხი) წელი;

-ანგარიშისა და გადასახადის (მათ შორის მომსახურების საფასურის) შესახებ მონაცემები ინახება კომუნიკაციის განხორციელებიდან არაუმეტეს 4 (ოთხი) წლისა;

- ზემოთაღნიშნული ვადის დამთავრებისთანავე, მაგრამ არაუმეტეს 30 დღის განმავლობაში ს.ს. გლობალ ერთი ახდენს ამ მონაცემების წაშლას ან განადგურებას.

11. თქვენი, როგორც მონაცემთა სუბიექტის უფლებები

11.1. თქვენ უფლებამოსილი ხართ მოითხოვოთ დადასტურება, მუშავდება თუ არა თქვენს შესახებ მონაცემი, დასაბუთებულია თუ არა მონაცემთა დამუშავება და მოთხოვნის შემთხვევაში უსასყიდლოდ მიიღოთ შემდეგი ინფორმაცია მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის:

-თქვენს შესახებ იმ მონაცემის თაობაზე, რომელიც მუშავდება, აგრეთვე ამ მონაცემების დამუშავების საფუძვლების და მიზნების შესახებ;

-მოცემთა შეგროვების წყაროს შესახებ;

-მოცემთა შენახვის ვადის შესახებ;

11.2. უფლებამოსილი ხართ გაეცნოთ თქვენს შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოთ ამ მონაცემების ასლები მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშო დღისა;

11.3. მოითხოვოთ თქვენ შესახებ მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება და მონაცემები უნდა გასწორდეს/განახლდეს მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშო დღისა ან გეცნობებათ მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი და გასაჩივრების წესი;

11.4. მოითხოვოთ თქვენი მონაცემების დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება და მონაცემების დამუშავება უნდა შეწყდეს ან/და უნდა წაიშალოს ან განადგურდეს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშო დღისა ან გეცნობოთ მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი და გასაჩივრების წესი;

ამასთანავე, შესაძლებელია უარი გეთქვათ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ არსებობს მონაცემების დამუშავების სხვა საფუძველი, მაგ: მონაცემთა შენახვის ვალდებულება გაწერილია კანონით და/ან მონაცემების შენახვა საჭიროა იმ მიზნის მისაღწევად, რომლისთვისაც განხორციელდა მონაცემთა

შეგროვება, მათ შორის, ხელშეკრულებით განსაზღვრული ფინანსური ვალდებულების შესასრულებლად.

11.5. თქვენ უფლება გაქვთ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების შესახებ ინფორმაციას მიიღოთ შესაბამისი მოქმედების განხორციელებისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

11.6.თქვენ უფლებამოსილი ხართ ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე გამოიხმოთ თქვენ მიერ გაცემული თანხმობა. ამ შემთხვევაში, მონაცემთა დამუშავება უნდა შეწყდეს ან დამუშავებული მონაცემები წაიშალოს ან განადგურდეს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა,თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი;

11.7. თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ ინფორმაცია მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის იმგვარი ინციდენტის შესახებ, რომელიც გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

12. მონაცემთა უსაფრთხოება

12.1 ს.ს. გლობალ ერთში მიღებულია ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რაც უზრუნველყოფს კომპანიაში მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისგან, მოპოვებისგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან.

13. საკონტაქტო ინფორმაცია

ს.ს. გლობალ ერთში პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე შეგიძლიათ მოგვმართოთ

წერილობითი ფორმით მისამართზე: **თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. 6**

წერილობითი ფორმით ელექტრონული ფოსტის მისამართზე: privacy@global-erty.net

დაგვიკავშირდეთ სატელეფონო ნომერზე: 243 91 28;

სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი

სამუშაო საათები: 10:00-19:00

აღნიშნული დოკუმენტი შესაძლებელია პერიოდულად განახლდეს, განახლების თარიღი მითითებულ იქნება პოლიტიკის პირველ გვერდზე